ISSN 1987-5134

# საბავშვო კარუსელი



ფასდაკლების ვაუჩერი

ამოჭერი ვაუჩერი,
წარადგინე „ბიბლუსის“
ნებისმიერ მაღაზიაში და
მიიღე წიგნი
ფასდაკლებით

საბავშვო კარუსელი

ვაუჩერი ძალაშია
7-დან 13 ოქტომბრის
ჩათვლით




წიგნი ასაწყობი
ფაზლებით

~~14 ლარი~~
6.99 ლარი

შემეცნებით-
გასართობი
ჟურნალი

39

7 ოქტომბერი, 2016 წელი
გამოდის პარასკეობით
ფასი 2 ლარი

www.facebook.com/საბავშვო-კარუსელი

# ციყვების ლაბირინთი



ციყვები რკოს დევნაში ატარებენ დღეებს, გაატარე ამ ლაბირინთში და შეახვედრე ერთმანეთს.



# ამოიკითხე ფრაზა




იპოვე ნახატზე ფრაგმენტები, ამოიკითხე ფრაზა და გადაიტანე ცარიელ რგოლებში.





# მოზაიკა

ამოჭერით ფრაგმენტე-
ბი და ნიმუშის მიხედვით
ააწყვეთ ნახატი.














# გააფერადე



# ჯიავორდი

9 ფრინველის პირი;



1

6 საწვიმარი, ანუ ...;



2

3 „ირემმა ირემს ... გაუწოდა, ირემმა ირემს ნეტა, რა უწოდა?“;



4

5 „რა ... თენდება, სიმღერა მინდება“;



7



8

15 ჯაფარის თუთიყუში;



10

13 გოზინაყს სჭირდება თაფლი და ...;

11 ბურუსი;

12





18

16 მაიმუნის სახეობა;

19 რა ერქვა ჩვენს დიდ მეფეს – აღმაშენებელს?



17

14 ახალი, ბავშვის ენაზე;

# უჯრებით ხატვა

დაასრულე ნახატი ზუსტად ნიმუშის მსგავსად.

ნიმუში





# კროსვორდი



# იფიქრე და გაერთე

რომელი ჯუჯის პორტრეტი ჰკიდია თავდაყირა?



გააფერადე ქვედა ნახატის მიხედვით.



# ქართული ხალხური საგანძური

ქართველებს ძალიან მდიდარი ხალხური საგანძური გვაქვს. ამ რუბრიკაში, სწორედ, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს გაგაცნობთ. ზეპირსიტყვიერება, ანუ ფოლკლორი, ხალხის მიერ შექმნილი ლექსები, ზღაპრები, მითები, თქმულებები და სიმღერებია, რომლებიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა და ასე მოვიდა ჩვენამდე. წარმოგიდგენთ ლექსებსა და ანდაზებს.

## ზრდილობა

ათასად კაცი დაფასდა,
ათიათასად ზრდილობა.
თუ კაცი თვითონ არ ვარგა,
რას არგებს გვარიშვილობა.

## მზე

მზე – დედაა ჩემი,
მთვარე – მამაჩემი,
მოციმციმე ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

## უჭკუო თხა

თხას უთხრეს, მგელი მამკვდარა,
თხამ ნავარდი ქნა, გაიქცა,
თხაო, რა გაგხარებია,
განა სამგლეთი დაიქცა?!
იმას რო დარჩა ლეკვები,
ისინიც მგლებად მაიქცა.

ცოდნა კაცს არ ამძიმებს და არც დაეკარგებაო.

სიბრძნე ებრძვის სიბრიყვესა უთოფოდ და უზარბაზნოდ.

სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო.

გამრჯესათვის უსაქმურობა დიდი სასჯელიაო.

დევი და ნაცარქექია ერთმანეთს თავის ჭკუასა და მოხერხებულობას უმტკიცებენ. ვნახოთ, რა მოიფიქრეს...

წაიკითხე სტრიქონები ციფრების მიხედვით, თანმიმდევრობით და ვნახოთ, რას გვეუბნება მოხერხებული ნაცარქექია.

4. ნუ დაუწყებ
7. მოგვეწონება,
2. იმას ნუ იტყვი,
5. ქებასა,
9. თავის დედასა.
6. კარგი ჩვენც
1. კარგი ვარ,
8. ცუდი - არც
3. თავს







დევის ციხე-სიმაგრის გასაღები ამ მინიშნებებით უნდა იპოვო:

1 ის არ არის პირველ მწკრივში;

2 მის მარჯვნივ არ არის ისარი;

3 მის მარცხნივ არ ჩანს ელვის ნიშანი;

4 მის ზემოთ გული ხატია.

# კროსვორდი „ჯადოსნური სარკე“

კროსვორდი ივსება მარცხნიდან მარჯვნივ.



1 კამა, ოხრახუში, ზოგადად ...;

2 მულტფილმი კუნძულის სახელწოდებით;

3 სპილოს მშვენება;

4 ნიავი, იგივე ...

5 მჟავე ციტრუსი;

6 დაფაზე საწერი საშუალება;

7 ღორის ბალანი;

8 რამდენი ჯუჯა ჰყავდა მეგობრად ფიფქიას?

9 ნივთი, რომელიც დროს აჩვენებს;



10 გოგებაშვილის სახელი;

11 დღის დასაწყისი;

12 თამაში ოვალური ბურთით;

13 ქართული ხალხური ზღაპარი ცხვრების მწყემსზე;

14 ფუტკრების საცხოვრე-ბელი;

15 ის, რასაც ძაღლი აქიცინებს;

16 წყლის ჭურჭელი;

17 კატის შვილი;



18 წყლის ტრანსპორტი;

19 ქართული ხალხური ზღაპრის მიხედვით, ის იყო ჭიანჭველის ძმობილი;

20 მუხის ნაყოფი;




**21** ბალუს და ბაგირას მეგობარი ბიჭუნა;

**22** ასე ჰქვია ერთ-ერთ კავშირსაც და დედმამიშვილსაც;

**23** შრომა, გარჯა;

**24** გაზაფხულის ყვავილი;

**25** დათვის საცხოვრებელი;

**26** რქოსანი პირუტყვი, ძველად ურემში აბამდნენ;

**27** რა ბოსტნეულია ჩიპოლინო?

# მხიარული არითმეტიკა

დააკვირდი ღამურების ფრთებზე ციფრებს და გამოტოვებული ციფრები ცარიელ რგოლებში ჩაწერე.



# სკანვორდი



# თამაში: „მხიარული რბოლა“

ამ თამაშისთვის საჭიროა 2 მოთამაშე, ფანტები და კამათელი. განათავსე ფანტები უჯრაზე „სტარტი“ და გააგორე კამათელი. გადაადგილდი იმდენი უჯრით, რამდენსაც კამათელი გიჩვენებს. გზადაგზა მითითებები შეასრულე. გამარჯვებულია ის, ვინც პირველი მივა ფინიშთან.




რბოლა გრძელდება!
გამოტოვე სვლა
გადადი 1 უჯრით წინ
დაბრუნდი 3 უჯრით უკან

# ყველაზე დღეგრძელი არსებები

ყველა ცოცხალ არსებას თავისი სიცოცხლის ვადა აქვს: ზოგიერთი რამდენიმე წუთი ცოცხლობს, სხვები – მრავალი წელი. ისეთებიც არსებობენ, 100 წელზე მეტ ხანს რომ ცოცხლობენ. მოდით, ახლა ყველაზე დღეგრძელი არსებები გავიცნოთ.



თევზებს შორის, მეცნიერთა თქმით, ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ტბის ზუთხი ყოფილა, რომელსაც 150 წლამდე შეუძლია იცოცხლოს, მეორე ადგილზეა ზოლიანი თევზი, რომელიც 100 წელზე მეტ ხანს ცოცხლობს. თევზის ერთ-ერთი, დღეგრძელი სახეობაა ჭანარი, რომლის ადამიანებისთვის ცნობილ ერთ წარმომადგენელს 226 წლამდეც კი უცოცხლია.

ფრინველებს შორისაც ბევრია, რომელთაც 100 წელზე მეტ ხანს შეუძლიათ სიცოცხლე. მაგალითად, გრიფი-ინდაური 118 წლამდე ცოცხლობს. ასევე, დღეგრძელები არიან ყვავები, რომლებიც 100 წელს ცოცხლობენ და არწივების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ასევე 100 წლამდე ცოცხლობს.



აზიური სპი-
ლო ერთ-ერთი
ყველაზე დიდი
და დღეგრძელი
ცხოველია, რო-
მელსაც 90 წლამდე
შეუძლია მიღწევა.





იგუანის მსგავსი ხვლიკი, ჰატერია პლანეტის ერთ-ერთი უძველესი ბინადარია და საკმაოდ დღეგრძელ-იც – 100-200 წელია მისი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

კუები ცნობილი დღეგრძელები არი-ან. ყველაზე დიდხანს – 200 წლამდე გალაპაგოსის კუ ცოცხლობს. ერთმა მათგანმა რეკორდიც კი დაამყარა და 250 წლამდე იცოცხლა.





და კიდევ ერთი დღეგრძელია ზღვის ზღარბი, რომელიც 100-დან 200 წლამდე ცოცხლობს. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ზღვის ზღარბები კიდევ უფრო დიდხანსაც ცოცხლობენ.

# მოჩვენებათა ღამე



ყოველ წელიწადს, გაზაფხულის დამდეგს, ქალაქის მერი, სოფლის ქუჩებში, მეგაფონით ჩაივლიდა ხოლმე და ხმამაღლა აცხადებდა:

– ამ საღამოს მოჩვენებათა ღამეა! შინ დაბრუნდით!

მისი ხმის გაგონებისთანავე სოფლელები სახლებში იკეტებოდნენ. იმ ღამეს, მართლაც, მთელი მსოფლიოს მოჩვენებები სოფლის მახლობლად იყრიდნენ თავს.

სიმართლე რომ ითქვას, ისინი არასოდეს არავის უნახავს, რადგანაც მოჩვენებები იყვნენ, მაგრამ იმ იშვიათმა ცნობისმოყვარეებმა, რომლებიც ტყეს მიუახლოვდნენ, გაიგონეს შემაძრწუნებელი ხმები. არა, ნამდვილად შინ დარჩენა ჯობდა!

ერთ წელიწადს, მოჩვენებების ღამეს, პატარა პიერი ტყეში აღმოჩნდა. არა! ეს განგებ არ გაუკეთებია. ციყვს გაეკიდა და ტყეში ღრმად მოუხდა შესვლა. როცა ამას მიხვდა, უკვე კარგად იყო დაბინდებული. სად მოხვდა? მოჩვენებებმა რომ შესანსლონ? შიშით აცახცახებული ბიჭუნა ხეებს შორის მიაბიჯებდა. უეცრად, ორი უზარმაზარი, ყვითელი თვალი დაინახა, რომლებიც პირდაპირ მას მისჩერებოდა.

– ვაიმე! – დაიყვირა მან, – მოჩვენება!

მაგრამ უეცრად გაიფიქრა: – არა, ეს პატარა ბუ უნდა იყოსო.

ფრინველი მაშინვე გაფრინდა. ბიჭმა გზა განაგრძო და იგრძნო, რომ ვიღაც მოსდევდა.



„ნამდვილად მოჩვენება მომდევს, – გაიფიქრა თავზარდაცემულმა, – ნუ გეშინია, ეს პატარა შეშინებული ნუკრია“, – დაამშვიდა შინაგანმა ხმამ.

პატარა პიერი დაიხარა და ჯოხი აიღო, რომ თავი უფრო მხნედ ეგრძნო. როდესაც გასწორდა, იგრძნო, რომ მისი პულოვერი ვიღაცის მოკრუნჩხულ თითებს ჩაებღუჯა. მან შიშისგან შეჰყვირა.

„თავს სასაცილოდ ნუ გაიხდი! ხის ტოტს გამოედე“, – გაუწყრა შინაგანი ხმა. პიერი მიბრუნდა, პულოვერზე გამოდებული მოკაუჭებული ტოტი მოიშორა და ვაჟკაცურად განაგრძო გზა. თანდათან უკეთ ერკვეოდა ღამეული ტყის ხმაურში.

გარიჟრაჟისას, როცა შინ დაბრუნდა, დედა მისკენ გაექანა, გულში ჩაიკრა და უთხრა:

– როგორ შეგვეშინდა! ესე იგი, მოჩვენებებს არ შეუჭამიხარ!

– რომელ მოჩვენებებს? – შეეკითხა პატარა პიერი.

– რომლებიც მოჩვენებების ღამეს იყრიან ხოლმე თავს!

– არა, ეს ტყის ხმაური გეჩვენებათ საშიში! – აუხსნა ბიჭუნამ. – მახლობელ ტყეში მოჩვენებები არ ბინადრობენ!

– მართლა? დარწმუნებული ხარ? – ჩაეკითხა დედა.

– ვაი! მეტკინა! – პატარა პიერი შეხტა: ვიღაცამ აშკარად ყური აუწია, – იცი, რა, შეიძლება ერთი პატარა მოჩვენება იყოს, – ჩაილაპარაკა მან.

ის დღე იყო და ის დღე, პატარა პიერს აღარ შეშინებია ტყეში სიარულისა, რადგანაც იცის, რომ იქ მეგობარი ჰყავს. რაც შეეხება დიდ მოჩვენებებს, არც უნდა, რომ მათ შესახებ რაიმე იცოდეს!



*ზღაპარი გადმოტანილია „პალიტრა L“-ის წიგნიდან „საღამოობით საკითხავი ლამაზ-ლამაზი ამბები“*

უპოვე ყველა არსებას თავისი ანაბეჭდი.



# პატარებისთვის

ყველა სიტყვას თავისი ნახატი შეურჩიე და ხაზებით დააკავშირე.




მელია

ცისარტყელა



მზე




ჭამბაზი



ბურთი



ჩანთა



თვითმფრინავი



ფინჯანი



ფეხბურთის კარი



მაკრატელი

ზღარბი





ბალიში

გირჩი

ნიანგი

ნაძვის ხის სათამაშო

# გააფერადე



შეაერთე წერტილები თანმიმდევ-რობით და გააფერადე ნახატი.

# გააფერადე



# შეამოწმე შენი ცოდნა





1. რომელი ქალაქია თბილისიდან ყველაზე შორს?

ა გორი

ბ ქუთაისი

გ მცხეთა



2. რომელი ცეკვა არ არის ქართული?

ა ფერხული

ბ მთიულური

გ სამბა



3. რა ერქვა მაგდანას სახედარს?

ა ყროყინა

ბ დიდყურა

გ ლურჯა





4. რომელია გადაშენებული ცხოველი?

- ა მარტორქა
- ბ მამონტი
- გ ბეჭემოთი



5. საქართველოს რომელ კუთხეშია ზამთარი ყველაზე თბილი?

- ა ზღვისპირეთში
- ბ ბარში
- გ მთაში





6. როგორ გოჭს ადარებენ უზნეო ბავშვს?

- ა სამგლეს
- ბ ჭყვიტინას
- გ ღორმუცელას



7. რა ეწოდება ნაკურთხ წყალს?

- ა საკმეველი
- ბ მირონი
- გ აიაზმა



8. რომელი უფრო დიდია?

- ა ზღვა
- ბ ოკეანე
- გ ტბა

# როგორ ერკვევი სპორტში

## ტესტი




ვის ეძახიან ფეხბურთის მეფეს?
ა) არნოლდ შვარცნეგერს;
ბ) კასიუს კლეის;
გ) პელეს.

ნონა გაფრინდაშვილი არის...
ა) სიცილის დედოფალი;
ბ) მსახიობი;
გ) ჭადრაკის დედოფალი.





რომელი სეზონის ოლიმპიადა
არ არსებობს?
ა) გაზაფხულის;
ბ) შემოდგომის;
გ) ზამთრის.



დავით ყიფიანი იყო...
ა) მწერალი;
ბ) მძლეოსანი;
გ) ფეხბურთელი.

„ფორმულა ერთი“-ს სახელ-
განთქმული პილოტია...
ა) მიხეილ მესხი.;
ბ) მიხეილ გარსია;
გ) მიხაილ შუმახერი.

შედეგები:

1. თუ შენს პასუხებში მხოლოდ „ა“ და „ბ“ ვარიანტებია, გამოდის, რომ ვერც ერთ შეკითხვას ვერ გაეცი სწორი პასუხი, ანუ სპორტში საერთოდ ვერ ერკვევი;

2. თუ პასუხებში მხოლოდ 1 ან 2 „გ“ ვარიანტი მოხვდა, ესე იგი, ცოტა ახლოს ხარ სპორტთან;

3. თუ შენს პასუხებში უმეტესობა „გ“ ვარიანტია, ყოჩაღ! სპორტშიც კარგად ერკვევი და ალბათ, მისდევ კიდეც მას.

# მხატვრის გვერდი

ამ ნახატებიდან რამდენიმე „ბიბლუსი ქიდს-ში“ გასართობად მისული პატარე-ბის დახატულია. თქვენც გაერთეთ „ბიბლუსი ქიდსში“, იქვე დახატეთ და საუკეთესო ნახატე-ბი ჩვენს ჟურნალში მოხვდება.


სანდრო ბურკაძე, 8 წლის


ლუკა ცომაია, 7 წლის


ნინა ეგეტაშვილი, 4 წლის


თაკო რევაზიშვილი, 5 წლის


ილია რევაზიშვილი, 4 წლის


თამთა ჩუბინიძე, 8 წლის


საბა აბულაძე, 6 წლის

ნიკოლოზ კორტავა, 8 წლის



ელენე ბარნოვი, 8 წლის


სერგი ცერცვაძე, 6 წლის


მარიამ გოჩიტაშვილი, 5 წლის


სალომე ქოქუაშვილი, 10 წლის

## №39-ის პასუხები

**გვ. 3. ამოიკითხე ფრაზა:** თავს ვუშველოთ

**გვ. 6. ჭიავორდი:**
1. კაქტუსი; 2. სიმბა; 3. ბალახი; 4. ხიდი; 5. დილა; 6. ლაბადა; 7. დათვი; 8. ვინი; 9. ნისკარტი; 10. ტიმონი; 11. ნისლი; 12. ლიმონი; 13. ნიგოზი; 14. ზიზია; 15. იაგო; 16. გორილა; 17. ლამპა; 18. პანდა; 19. დავითი.

**გვ. 8. კროსვორდი:**
1. დათვი; 2. სახტუნაო; 3. თვითმფრინავი; 4. ფრანი; 5. გემი; 6. მატარებელი; 7. კატა; 8. ფაზლი; 9. საჩუქარი; 10. ტელეფონი; 11. კონვერტი; 12. მიკროფონი; 13. რობოტი.

**გვ. 12. კროსვორდი „ჯადოსნური სარკე“:**
1. მწვანილი; 2. მადაგასკარი; 3. ხორთუმი; 4. სიო; 5. ლი-მონი; 6. ცარცი; 7. ჯაგარი; 8. შვიდი; 9. საათი; 10. იაკობი; 11. დილა; 12. რაგბი; 13. კომბლე; 14. სკა; 15. კუდი; 16. დოქი; 17. კნუტი; 18. ნავი; 19. რწყილი; 20. რკო; 21. მაუგლი; 22. და; 23. ჯაფა; 24. ია; 25. ბუნაგი; 26. კამეჩი; 27. ხახვი.

**გვ. 15. სკანვორდი:**
1. კალათა; 2. კურდღელი; 3. ურიკა; 4. დამბო; 5. ღამურა; 6. გვირილა; 7. ალადინი; 8. გარფილდი; 9. არფა; 10. ლომი; 11. მინი; 12. იხვი.

**გვ. 26-27. შეამოწმე შენი ცოდნა:**
1-ბ; 2-გ; 3-გ; 4-ბ; 5-ა; 6-ა; 7-გ; 8-ბ.

კოლორი
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

პალიტრამედიის ცხელი ხაზი: (995 32) 2 19 60 13
(995 32) 2 19 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
sabavshvo@palitra.ge
მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
სარეკლამო: (995 32) 2 37 78 07
(995 32) 2 38 78 70

საბავშვო კარუსელი №39 (604)

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე:
www.elva.ge
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

# ფაჩუჩებიანი ჩანთა

გასწავლით ამ ძალიან სახალისო და მარტივად გასაკეთებელი სამგზავრო ჩანთის გაკეთებას. შეგიძლია, შენი რომელიმე ზურგჩანთა ასეთი ლამაზი ფაჩუჩებით გააფორმო.



**დაგჭირდებათ:**
ძველი, სუფთა ტომარა ან ზურგჩანთა;
მწვანე, ყვითელი და ნაცრისფერი (ან რომელიმე სხვა ფერი, რაც მოგწონთ) სქელი ნაჭერი – სასურველია ჯინსის;
50-სანტიმეტრიანი თასმები;
ნემსი და ძაფი;
ქაღალდი და ფანქარი;
მაკრატელი და სახვრეტი ან სადგისი.



1

სქემის მიხედვით გამოჭერი თარგი ქაღალდისგან. შემდეგ შესაფერის ნაჭერს დაადე ქაღალდის თარგი, გარშემო ფანქარი შემოავლე და ამ ნახაზის მიხედვით გამოჭერი.



2

ფაჩუჩის ზედა ნაწილებისთვის განკუთვნილ ნაჭრებზე მონიშნე ფანქრით წერტილები და შემდეგ გახვრიტე. ამ ნახვრეტებში უნდა გაიაროს თასმებმა.



3

როგორც ნახატზეა, ისე მიაკერე ერთმანეთს ჯერ ყვითელი და ნაცრისფერი ნაჭრები, მერე კი ზემოდან დააკერე თასმების გასაყრელად გამზადებული მწვანე ნაჭრები. ოღონდ ისე, რომ ნახვრეტებიანი მხარე არ მიაკერო – ის თავისუფალი უნდა დარჩეს.



4

მიამაგრე თასმები, როგორც უნდა იყოს. მერე კი გამზადებული ფაჩუჩები დააკერე ტომარას.

# ამოსაჭრელი თარგები









# ეზოპეს იგავები

ამ ლამაზად ილუსტრირებულ წიგნში ძველი ბერძენი მეიგავის – ეზოპეს იგავებია შესული. ალბათ იცი, რომ იგავი არის მოკლე ალეგორიული მოთხრობა ან ლექსი, რომელსაც ზნეობრივ-დამრიგებლური შინაარსი აქვს. ყურადღებით წაიკითხე და დასკვნაც გამოიტანე. ბევრ რამეს ისწავლი, თანაც კარგად ისიამოვნებ.

**24.99 ₾**








იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ. palitral.ge Palitra.L.Publishing